

ენიდ ბლაიჭონი

ცნობილი სუთეული

სუთეული
შესანიშნავად ერთობა

ინგლისურიდან თარგმნა
ნიკა სამუშიამ



სულაკაურის
ჯანმრთელობის

შინაახსნი

თავი პირველი ჯოჯო სურ მახგოა.....	5
თავი მეორე ყველანი ისევ ერთად ახიან.....	13
თავი მესამე სასიამოვნო დილა.....	21
თავი მეოთხე მოხეტიალე ციხე ჩამოდის.....	29
თავი მეხუთე ღამით და დღით.....	37
თავი მეექვსე ახაკეთიღვანწყობილი ხარხი.....	45
თავი მეშვიდე წეილი, გასეიხნება და ელდა.....	53
თავი მერვე სად გაქა ფუხგონები?.....	61
თავი მეცხე დიდი სოუხპიზი.....	68
თავი მათე მეციკეებთან დაბუნება.....	75
თავი მათხთმემა ძალიან უცნაუი შემთხვევა.....	83
თავი მათოხმემა ცეცხლის ჭამა და სხვა ხამეები!.....	90
თავი მაცამემა საიდუმლოს ამოსახსნელად წასვლა.....	97
თავი მათოთხმემა ფეინათისის ციხესიმავე.....	105
თავი მათხუთმემა საინგეიესო დლე.....	112
თავი მათექსმემა საიდუმლო გასასვლელები.....	119
თავი მარვიდმემა მოულოდნელები და უსიამოვნებები.....	126
თავი მათხამემა ჯოს თავადასავალი.....	133
თავი მაცხამემა ჯო სხვებს უკან მიჰყვება.....	140
თავი მათცე დიდი მღეევაიება.....	147
თავი ოცდამათე ზედა ოთახში.....	153
თავი ოცდამეორე „ღამაზო“ და ჯო ერთობიან.....	159
თავი ოცდამესამე მხიხულება ბანაკში.....	166

თავი პიხველი

ჯოჯი სუდ მაიგოა

– მე მგონი, უსამართლოდ მექცევით, – ჩაიბზულუნა ჯორჯმა, – რატომ არ მიშვებთ? ორი კვირაა, სკოლაში სწავლა დამთავრდა და მე კიდეც, სახლში ვზივარ. სხვები ისვენებენ და მშვენივრადაც ერთობიან.

– ნუ სულელობ, ჯორჯ, – უთხრა დედამ, – როგორც კი გამოკეთდები, ნახვალ.

– უკვე უკეთესად ვარ, დედა, – დაუბღვირა ჯორჯმა, – და ეს შენც კარგად იცი!

– კმარა, ჯორჯინა, გაჩუმდი! – ამოხედა გაზეთში თავჩარგულმა მამამ, – უკვე მესამე დილაა, ამაზე ვკამათობთ.

თუ ვინმე „ჯორჯინათი“ მიმართავდა, გოგონა მას არასდროს უპასუხებდა; ამიტომ, მართალია, ძალიან კი უნდოდა, რომ მამას შეჰკამათებოდა, მაგრამ მხოლოდ ტუჩები გაბუსხა და სხვა მხარეს მიტრიალდა.

დედას გაეცინა.

– ჯორჯ, საყვარელო! ნუ ბრაზობ. შენი ბრალია, რომ გაცივდი. საბანაოდ დაბრძანდებოდი და ნყლიდან დიდხანს არ ამოდით. არადა, ჯერ შუა აპრილია.

– აპრილში ყოველთვის დავდიოდი საბანაოდ, – კოპები შეკრა ჯორჯმა.

– კმარა-მეთქი! – გაზეთი მაგიდას დასცხო მამამ, – კიდეც ერთი სიტყვა, ჯორჯ, და ბიძაშვილებთან საერთოდ ველარ ნახვალ.

– ჰამ-ჰამ! – დაიყეფა მაგიდის ქვეშ შემძვრალმა ტიმმა, რომელსაც არ მოსწონდა, როცა ჯორჯს ვინმე უწყებოდა.

– ახლა შენც არ დამინყო კამათი, – ფეხი ნაჰკრა ძალღს მამამ და ზუსტად ჯორჯივით დაიბღვირა.

მის ცოლს კი ისევ გაეცინა:

– ორივენი გაჩუმდით. ჯორჯ, ძვირფასო, გთხოვ, ცოტა მოითმინე. ბიძაშვილებთან ძალიან მალე გაგიშვებ; თუ კარგად იქნები, ხვალვე ნახავ სამივეს. მთავარია, დღეს ბევრი აღარ ახველო.

– ვაჰ, აქამდე გეთქვა, დედა! – სახე გაუნათდა ჯორჯს, – ნუხელ ერთხელაც არ დამიხველებია. დღეს უკვე კარგად ვარ. აი, თუ ხვალ ფეინათისის ციხესიმაგრეში გამიშვებ, გპირდები, საერთოდ აღარ დავახველებ!

– მოიცა, შვილს ციხესიმაგრეში ვუშვებთ? – ისევ ამოიხედა ჯორჯის მამამ, – პირველად მესმის.

– ოჰ, კვენტინ, ძვირფასო, უკვე სამჯერ მაინც გითხარი, რომ სკოლის მეგობარმა ჯულიენს, დიქსა და ენის ორი ძველი ფურგონი ათხოვა. ფეინათისის ციხესიმაგრესთან ახლოს, მინდორზე არიან დაბანაკებულები, – უპასუხა ცოლმა.

– ძალიან კარგი, თუ ციხესიმაგრეში არ იცხოვრებენ, – თქვა ჯორჯის მამამ, – ამას ვერ მოვითმენ. არ მინდა, ჯორჯი შინ ცხვირანეული და გაბღენძილი დაბრუნდეს.

– შეუძლებელია, ჯორჯი გაიბღინძოს, – დაამშვიდა ქმარი ცოლმა, – სუფთა ჯინსების ჩაცმასა და ფრჩხილების გან-

მენდას ძლივს მივაჩვიე. კარგი, რა, კვენტინ, მშვენივრად იცი, რომ ჯორჯი და მისი ბიძაშვილები ერთად არდადეგებს ყოველთვის მშვენივრად ატარებენ.

– და თავგადასავლებიც არ გვაკლია, – ღიმილით დაამატა ჯორჯმა, რომელსაც იმის გაფიქრებაზე, რომ მეორე დღეს ბიძაშვილებთან წასვლის ნებას დართავდნენ, გუნება საგრძნობლად გამოუკეთდა.

– იმედია, წელს მაინც არ გადაგხდებათ რამე საშინელი თავგადასავალი, – უთხრა დედამ, – ფეინაითსი ძალიან მშვიდი და მყუდრო სოფელია. თანაც, ძველ ფურგონებში იცხოვრებთ.

– სადაც გინდა იყოს, ჯორჯს არ ვენდობი, – მკაცრად აღნიშნა მამამ, – თავგადასავლის სუნი ოდნავ მაინც თუ იყნოსა, მაშინვე მის საძიებლად გაიქცევა. ჯორჯისნაირი მეორე არ დადის დედამინის ზურგზე. მადლობა ღმერთს, რომ მხოლოდ ერთი შვილი გვყავს. ორ ან სამ ჯორჯს ალბათ ვერ გავუძლებდი.

– ჯორჯისნაირი ბევრია, – არ დაეთანხმა ცოლი, – მაგალითად, ჯულიენი და დიკიც სულ რაღაც დავიდარაბაში ეხვევიან და მათი გადამკიდე საბრალო ენი მშვიდ ცხოვრებას ნატრობს.

– საკმარისია, კამათს მოვრჩი, – ჯორჯის მამამ სკამი უკან ენერგიულად გასწია და ძაღლს შემთხვევით ნიხლი ნაჰკრა. ტიმმა დაინკავენკავა, – რა უტვინოა ეს ძაღლი! ყოველთვის, როცა ვჭამთ, მაგიდის ქვეშ შეძვრება და ჰგონია, მემახსოვრება, რომ იქ ზის. კარგი, მე სამუშაოდ მივდივარ.

მამა ოთახიდან გავიდა, სასადილო ოთახის კარი გაიჯახუნა და კაბინეტის კარიც ზედ მიაყოლა. შემდეგ ფანჯარაც ბრაზუნით დახურა. მერე ბუხარში ცეცხლი ხმაურით მოჩხრიკა.

სავარძელმაც დაიჭრიალა, როცა შიგ მიძიმედ ჩაეშვა. ბოლოს სიჩუმე ჩამოვარდა.

– მამაშენი სადილობამდე იქიდან აღარ გამოვა, – უთხრა ჯორჯს დედამ, – ღმერთო ჩემო, არადა, უკვე სამჯერ მაინც ვუხსენე ფეინაითსი და იქაური ციხესიმაგრე. მოკლედ, ჯორჯ, მგონი, ხვალ წასვლას შეძლებ; დღეს ბევრად უკეთ გამოიყურები. ნივთები გაამზადე და ნაშუადღევს ჩაგილაგებ.

– გმადლობ, დედა, – გაუხარდა გოგონას და დედას ჩაეხუტა, – თანაც, მამას ცოტა ხნით ჩემი სახლიდან წასვლა გაუხარდება! ვიცი, ფიქრობს, რომ ძალიან ბევრს ვხმარობ!

– ფერი ფერსაო, მაღლი ღმერთსაო, თქვენზეა ნათქვამი, – უთხრა დედამ, რომელსაც კარების გაჯახუნებები და სხვა რამეები გაახსენდა, – ზოგჯერ სრულიად აუტანლები ხართ, მაგრამ არ ვიცი, უთქვენოდ რა მეშველებოდა! ოჰ, ტიმ, ისევ მაგიდის ქვეშ ხარ? ნეტავ კუდს ეგრე არ აქიცინებდე! ხომ არ გეტკინა?

– კი, დააბიჯე, დედა, მაგრამ არა უშავს, არ სწყინს, – დიდსულოვნად დაამშვიდა ჯორჯმა, – ახლავე წავალ და ჩემს ნივთებს გავამზადებ. ფეინაითსამდე მატარებლით უნდა ვიმგზავრო?

– ჰო. კირინის სადგურში წაგიყვან და, თერთმეტს რომ ოცი წუთი დააკლდება, იქიდან ლიმინგ-ჰოში მიმავალ მატარებელს გაჰყვები, სადაც ფეინაითსის რეისზე გადაჯდები. ჯულიენს თუ ღია ბარათს გაუგზავნი, ხვალ დილით მიიღებს და დაგხვდება.

– ახლავე დავნერ, – თქვა გახარებულმა ჯორჯმა, – აუ, დედა, როგორ მეშინოდა, რომ ეს საშინელი გაცივება მთელი არდადეგები არ გამივლიდა! აპრილის ცივ დღეებში საბანაოდ არასდროს აღარ წავალ!

– შარშანაც ასე ამბობდი და შარშანწინაც, – შეახსენა დედამ, – ძალიან ხანმოკლე მახსოვრობა გაქვს, ჯორჯ!

– წამოდი, ტიმ! – ძალღს დაუძახა გოგონამ, ოთახიდან ისარივით გავარდა და კარი ისე მაგრად გაიჯახუნა, რომ მთელი სახლი შეზანზარდა.

მაშინვე კაბინეტის კარი გაიღო და იქიდან ბრაზნარევი ყვირილი მოისმა:

– კარს ვინ აჯახუნებს, როცა ვმუშაობ? არ შეიძლება, რომ ამ სახლში ვინმემ კარი ჩუმად მიხუროს?

მეორე სართულზე სირბილით ამაველ ჯორჯს გაეღიმა. კარის ყველაზე დიდი გამჯახუნებელი მამა იყო, მაგრამ მას ხმაური მხოლოდ მაშინ ანუხებდა, როცა უწესოდ სხვები იქცეოდნენ.

ჯორჯმა საწერი მაგიდა გადაქექა. ღია ბარათს ეძებდა, რომ დაუყოვნებლივ გაეგზავნა, თორემ ჯულიენი წერილს დილით ვერ მიიღებდა და მისი ბიძაშვილები სადგურში დახვედრას ველარ მოასწრებდნენ. ერთი სული ჰქონდა, მათ ისევ შეხვედროდა!

– ხვალ მივდივართ, – შესცინა ჯორჯმა ტიმს, რომელმაც ამოხედა და კუდი მონდომებით გააქიცინა, – კი, რა თქმა უნდა, შენც მოდიხარ – ხუთეული ისევ ერთად იქნება! ცნობილი ხუთეული! გიხარია, არა, ტიმ? მეც მიხარია!

ჯორჯმა ბარათზე რამდენიმე სიტყვა სწრაფად დანერა და ქვემოთ ჩაირბინა, რომ წერილი საფოსტო ყუთში ჩაეგდო. ამჯერად გოგონამ შესასვლელი კარი გაიჯახუნა და ლამის სულ გადაირია მამა. ის ძალიან ჭკვიანი და ბეჯითი მეცნიერი იყო; მოუთმენელი, ფიცხი, მაგრამ თან კეთილი და გულმავინი. ხშირად ნატრობდა, ნეტავ ჩვენი ქალიშვილი მე კი არა, ჩემს ჩუმ და ნაზ ძმისშვილს, ენის ჰგავდესო!

ჯორჯმა ბარათი საფოსტო ყუთში ჩააგდო. ტექსტი მოკლე და საქმიანი იყო:

გაცეხამ გამიარა. ხვალ ციმთან ერთად მოვემგზავრებ-
ბი. პირველის ხუთ წუთზე ჩამოვდივართ და დაგვხვდით.
ორივენი შშვენიერ განწყობაზე ვართ!

ჭორჭი

გოგონამ უფრები გამოალო და წასაღები ნივთების გადა-
რჩევას შეუდგა. დასახმარებლად დედა შემოვიდა. ჩემოდნის
ჩალაგებისას ყოველთვის კამათობდნენ, რადგან ჯორჯს რაც
შეიძლება მსუბუქი ბარგის წაღება უნდოდა და, მისი ნება რომ
ყოფილიყო, თბილ ტანსაცმელზე საერთოდ უარს იტყოდა;
მაგრამ დედა სულ სხვაგვარად ფიქრობდა.

ასე იყო თუ ისე, ჩემოდანი საჭირო ნივთებით ორივემ
ერთად გაავსო. როგორც ყოველთვის, ჯორჯმა კაბის წაღება
არც ამჯერად მოინდომა.

– ნეტავ როდის გაიზრდები და ბიჭივით მოქცევას როდის
შეეშვები! – უთხრა გაბრაზებულმა დედამ, – კარგი, კარგი,
თუ ასე გინდა, ძველი ჯინსის შარვლები და ის შენი წითელი
მანქანის ნაილე. მაგრამ თბილი სვიტერები აუცილებლად თან
უნდა გქონდეს. წელან მე თვითონ ჩაგილაგე და ამოგიღია.
ჯულიენი ამბობს, რომ სქელი პლედიც დაგჭირდება. ასეთ
ამინდში ფურგონში მაინცდამაინც არ თბილა.

– ძალიან მაინტერესებს, როგორი ფურგონებია, – თქვა
ჯორჯმა და სვიტერები ჩემოდანში ჩატენა, – ჯულიენ-
მა მომწერა, ძველებურებიანო. ალბათ ბოშებისას ჰგავს, იმ
თანამედროვე მისაბმელებს კი არა, მანქანებზე რომ არის
მიმაგრებული.

– ხვალ ნახავ, – უთხრა დედამ, – ვაიმე, ჯორჯ, ისეე ახველებ!

– მტვერი ჩავყლაპე, არაფერია, – დაფაცურდა გოგონა, ხველის შესაკავებლად მაშინვე სუნთქვა შეიკრა და ერთიანად გალურჯდა. სასწრაფოდ ერთი ჭიქა წყალი დალია. ახლა რომ დედას ეთქვა, ვერ გაგიშვებო, ჯორჯი ნამდვილად გადაირეოდა!

გოგონამ მთელი კვირა იავადმყოფა და ეს დრო საწოლში გაატარა, ძალიან ჭირვეული პაციენტი გამოდგა, მაგრამ რამდენიმე დღის წინ ლოგინიდან ადგა და ისეე ძველ ჯორჯს დაემსგავსა. ამიტომ დედამისი მშვიდად იყო.

„ფეინაითსში წასვლა და სუფთა ჰაერზე დასვენება არგებს, – ფიქრობდა ქალი, – თან სხვებთან ერთად გაერთობა, მარტო ყოფნისას შინ ძალიან მოინყინა“.

იმ საღამოს ჯორჯი თავს ბედნიერად გრძნობდა. კიდევ ერთი ღამეც და, ფურგონში საცხოვრებლად ორი კვირით გაემგზავრებოდა! ნეტავ დარიანი დღეები დადგებოდეს, მშვენიერ დროს გავატარებთო, ფიქრობდა.

უეცრად ტელეფონის დაჟინებული ნკრიალი გაისმა.

ყურმილი დედამ აიღო.

– გისმენთ, ა-ა, შენ ხარ, ჯულიენ? ყველაფერი რიგზეა?

შეშფოთებული ჯორჯი მაშინვე ჰოლისკენ გაეშურა, რამე ხომ არ მოხდაო. იმედია, ჯულიენი იმის სათქმელად არ რეკავდა, ჯორჯი აღარ ჩამოვიდესო!

– რა თქვი, ჯულიენ? – ყურმილში ჩასძახა დედამ, – ძვირფასო, არ მესმის, რას ამბობ. რა თქმა უნდა, ბიძაშენი კარგად არის. რატომ არ უნდა იყოს? არა, არ გაუჩინარებულა, ჯულიენ, საიდან მოიტანე?

ჯორჯი კი აღელდა, მაგრამ, საბედნიეროდ, აღმოჩნდა,

რომ ყველაფერი რიგზე იყო. ბოლოს და ბოლოს, როცა დედამ ყურმილი დაკიდა, გოგონას უთხრა:

– ნუ ცქმუტავ, ჯორჯ, ყველაფერი კარგადაა, ხვალ ნახვალ. ჯულიენმა მხოლოდ იმის გასაგებად დარეკა, მოულოდნელად გაუჩინარებულ მეცნიერებს შორის მამაშენიც ხომ არ ერია. როგორც თქვა, სალამოს გაზეთში უგზო-უკვლოდ გამქრალ ორ მეცნიერზე მოკლე ცნობა გამოუქვეყნებიათ. ჩვენს კეთილ ჯულიენს აინტერესებდა, მამაშენს ხომ არაფერი დამართნია!

– მამა რატომ უნდა გაუჩინარებულიყო? – აგდებულად ნამოიძახა ჯორჯმა, – ეტყობა, ჯულიენმა გააფრინა! ის ორი მეცნიერი ალბათ მოლალატეა, სხვა ქვეყანაში გაიქცნენ ეროვნული საიდუმლოებების გასაყიდად! ამას ჯულიენს გასაგებად ავუხსნიდი!